წლიური ანგარიში

2023

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi

ქალთა ფონდი „სოხუმი“ - მშვიდობისა და თანასწორობისთვის

ალლა გამახარია,

ქალთა ფონდი „სოხუმის“ თავმჯდომარე

ქალთა ფონდი „სოხუმი“ 1997 წელს დაარსდა როგორც კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“. შექმნა ოთხმა აქტიურმა, აფხაზეთიდან დევნილმა ქალმა ჟანა ჭაბუკიანმა, ნანული რამიშვილმა, მერი გელაშვილმა და ალლა გამახარიამ.

ჩვენი ორგანიზაციიდან შემდეგში კიდევ ორი ორგანიზაცია გაჩნდა - პედაგოგთა ასოციაცია „განათლება და სამყარო“ ნანული რამიშვილის ხელმძღვანელობით და მეწარმე ქალთა ფონდი მერი გელაშვილის ხელმძღვანელობით. ასე გავხდით სამი პარტნიორი ორგანიზაცია.

2021 წლის 19 ოქტომბერს ორგანიზაციამ მიიღო ახალი სახელი - ქალთა ფონდი „სოხუმი“.

მისი საქმიანობის ყველა მიმართულება იწყება სიტყვით „ქალი“:

ქალი და

- გენდერული პოლიტიკა
- ცხოვრება ძალადობის გარეშე
- მშვიდობის მშენებლობა
- ახალგაზრდები
- დევნილთა გაძლიერება

პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად 26-წლიანი რთული, დაუღალავი მუშაობის შედეგად ბევრი რამით შეგვიძლია მოვიწონოთ თავი:

- ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც, ხელს უწყობს გენდერული პოლიტიკის დანერგვას მუნიციპალურ დონეზე.
- მუნიციპალიტეტებში საკანონმდებლო დონეზე იქმნება და ძლიერდება უწყებათაშორისი კომისიები (მათ შემადგენლობაში არიან რეფერალური უწყებების წარმომადგენლები), რომლებიც აქტიურად მუშაობენ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე და მათი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის.
- 20 წელზე მეტია, უწყვეტად ვმუშაობთ კონფლიქტური ზონების წარმომადგენლებთან, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ქალებთან ერთად ვაშენებთ სამშვიდობო ხიდებს, რომლებზეც ახალგაზრდა თაობამ უნდა გაიაროს.
- ახალგაზრდობა ყოველთვის იყო ჩვენი პრიორიტეტი. როგორ გავუმკლავდეთ კონფლიქტს? როგორ ავიცილოთ თავიდან ძალადობა? როგორ ვიცხოვროთ სხვა ადამიანებთან ჰარმონიაში? ამას ვასწავლით ახალგაზრდებს და მათთან ერთად ჩვენც ვსწავლობთ.
- შექმნის პირველი დღიდანვე ვეხმარებოდით დევნილ ქალებს სირთულეების დაძლევაში. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ აქვთ განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის მხარდაჭერით ვმუშაობთ ჩვენს უფლებებსა და საჭიროებებზე.

2023 წელი, წინა წლების მსგავსად, გავიდა შესაბამისობაში:

ჩვენს ხედვასთან: ეს ნიშნავს სწრაფვას მომავლისკენ, სადაც ქალებს და მამაკაცებს თანაბარი უფლებები აქვთ ცხოვრების ყველა - სამოქალაქო, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ - ასპექტში. ჩვენ გავაგრძელეთ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის დამცველის, პროგრესული სოციალური ცვლილებების მამოძრავებელი ძალის და მშვიდობის მხარდამჭერის როლი.

და ჩვენს მისიასთან: ქალთა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების მხარდაჭერა მათი სოციალური, საგანმანათლებლო და სამართლებრივი შესაძლებლობების განვითარებით, სქესთა შორის თანასწორობის მიღწევა და ქალების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2023 წელს ჩვენ ვიმუშავეთ 12 პროექტში, რომელიც ქალთა კეთილდღეობისკენ იყო მიმართული.

ეს ჩვენი წლიური ანგარიშია.

პროექტი „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“

ფონდი „სოხუმი“ 2001 წლიდან აქტიურად მუშაობს ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების განვითარებით. პროექტი „ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ 10 მუნიციპალიტეტში ხორციელდება ორგანიზაცია Brot für die Welt - Evangelischer Entwicklungsdienst მხარდაჭერით (გერმანია).

პროექტის კომპონენტებია:

- ქალთა მხარდაჭერის ცენტრები
- სარეაბილიტაციო ცენტრი
- ფორუმ-თეატრი
- ახალგაზრდების გაძლიერების ცენტრები
- დღის სარეაბილიტაციო ცენტრები
- მონიტორინგი და ადვოკატირება

ქალთა მხარდაჭერის ცენტრები

ქალთა მხარდაჭერის ცენტრები ფონდი „სოხუმის“ ფილიალებია, რომლებიც დასავლეთ საქართველოში დაარსდა 2009 წლიდან. ცენტრები ხელს უწყობს ქალთა უფლებების დაცვას და უზრუნველყოფს მათ სოციალურ-ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობის ძირითადი მიმართულებებია:

✓ ოჯახური ძალადობის პრევენცია საზოგადოებაში და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა
✓ ქალთა მხარდაჭერა, სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერება ლოკალურ თემებში

ცენტრები ხელს უწყობენ GREWS სისტემის დანერგვას (ეს არის ფონდი „სოხუმის“ ინოვაცია - კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემა).
2023 წელს ქალთა მხარდაჭერის ცენტრები მოქმედებდა 4 რეგიონის 10 მუნიციპალიტეტში:

იმერეთი: თერჯოლა, ბაღდათი, ვანი, სამტრედია
სამეგრელო: სენაკი, ხობი, წალენჯიხა, ზუგდიდი (კონფლიქტის გამყოფი ხაზის სოფლები: ხურჩა, კოკი, კახათი)
გურია: ჩოხატაური
აჭარა: ქობულეთი



ცენტრების ლიდერები - მობილიზატორები აწყობდნენ სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებს. ისინი ქმნიან ერთიან საკოორდინაციო სისტემას, თანამშრომლობენ ადგილობრივ სტრუქტურებთან, რეფერირების სუბიექტებთან, გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, სკოლებთან, სათემო ცენტრებთან, ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

ყოველთვიურ საინფორმაციო შეხვედრებზე მონაწილეებმა მიიღეს საჭირო ინფორმაცია ძალადობის საკითხებზე, გაეცნენ მსხვერპლთა დახმარების კუთხით არსებულ სერვისებს. სისტემატურად ტარდებოდა ოჯახური ძალადობის შემთხვევების მონიტორინგი, რაც გულისხმობს კრიზისული და რისკის მქონე ჯგუფების, ძალადობის მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირებას.



- გამოვლინდა ძალადობის 124 შემთხვევა.
- ფსიქოლოგის მომსახურებით ისარგებლა 124-მა ქალმა.
- 42-მა ქალმა მიიღო იურისტის კონსულტაცია.
- 26 ქალი გადამისამართდა ფონდი „სოხუმის“ სარეაბილიტაციო ცენტრში შვილებთან ერთად (სულ - 77 ადამიანი).
- მუნიციპალური პროგრამით ისარგებლა 42-მა ადამიანმა.
- სახელმწიფო პროგრამებში დასაქმდა 118 ადამიანი.

აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, წარმატებული იყო აუთსორსინგის პრაქტიკა - წალენჯიხაში, სენაკში, ბაღდათში, ხობში, სადაც მუშაობა მუნიციპალური ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით განხორციელდა.

ხობის ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, ჩატარდა კვლევა და დაიბეჭდა ანგარიში „ქალებისა და ახალგაზრდების ადამიანური უსაფრთოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასება“. კვლევა ეყრდნობა კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებულ სისტემას (GREWS)
https://www.fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/mshvidoba/item/14015-2023-09-24-06-08-49

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში შეიქმნა აქტიური ლიდერი ქალების ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ პრობლემების იდენტიფიცირებაზე.

2023 წელს განიხილეს 64 პრობლემა.

გამოვლენილი პრობლემების უმეტესობა სოციალურ საკითხებს მოიცავდა. ადრეული ჩარევისა და ადვოკატირების შედეგად 41 ქალის მდგომარეობა გაუმჯობესდა. თერჯოლაში, სენაკში, ქობულეთში, ბაღდათში, ჩოხატაურსა და ვანში ქალები ჩაერთნენ ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში, გაიარეს პროფესიული კურსები - 26-მა ქალმა გაიუმჯობესა ეკონომიკური მდგომარეობა.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით სენაკში, ქობულეთში, ზუგდიდში, ჩოხატაურში, სამტრედიაში მოგვარდა ქალების მიერ ადვოკატირებული ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომლებიც ეხებოდა შიდა გზების მოწესრიგებას, საბავშვო ატრაქციონების მოწყობას, გარე განათებას, მინიპარკების გაშენებას, სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებლის შეკეთებას.

ახალგაზრდობის გაძლიერების ცენტრები

სამი წლის განმავლობაში 12 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა კონფლიქტების მართვის ჯგუფები, ახალგაზრდული კლუბები. მათ ბაზაზე შეიქმნა ახალგაზრდობის გაძლიერების ცენტრები, რომლებიც ემსახურებიან ახალგაზრდების არაფორმალურ განათლებას, ძალადობის პრევენციას და ხელს უწყობენ მათი ლიდერული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას.

2023 წელს ცენტრები მუშაობდნენ 10 მუნიციპალიტეტში: თერჯოლა, ბაღდათი, ვანი, სამტრედია, სენაკი, ხობი, წალენჯიხა, ზუგდიდი, ჩოხატაური, ქობულეთი.



გაიმართა 100 ტრენიგი

ჯგუფების ლიდერებმა თავიანთ სკოლებში ჩაატარეს სხვადასხვა ღონისძიება: ვორკშოპები, საინფორმაციო შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, სადისკუსიო კლუბები, პანელური დისკუსიები. ინიცირებული აქტივობები ექვსთვიანი სასწავლო კურსის შედეგია.

ახალგაზრდების ინიციატივით ჩატარებულ აქტივობებში ჩაერთო 5715 მოსწავლე - 3045 გოგონა და 2670 ბიჭი

გამოიცა ახალგაზრდების გაძლიერების ცენტრების სასწავლო კურსის მოდულების კრებული, რომელიც გადაეცა ახალგაზრდა ტრენერებს და პროექტში ჩართულ სკოლებს. გამოცემაში 10 სატრენინგო მოდულია: მშვიდობა და კონფლიქტი; ოჯახში ძალადობა; კონფლიქტის მიზეზები; გენდერი და გენდერული სტერეოტიპები; კონფლიქტის ესკალაცია; ტოლერანტობა; კონფლიქტის შედეგები; ადრეული ქორწინება; კონფლიქტის მოგვარება; ეთიკის და ესთეტიკის ნორმები. შვილების და მშობლების ურთიერთდამოკიდებულება - https://www.fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/trsaxelmzgvanelo/item/13365-2023-02-26-19-11-59

შეიქმნა 50 მონაწილისგან შემდგარი ახალგაზრდული ქსელი. ეს ახალგაზრდები გახდნენ ტრენერები, მათ მიიღეს ფონდი „სოხუმის“ სერტიფიკატები, პროექტში ჩართულ სკოლებს კი მადლობის სიგელები გადაეცათ.

ახალგაზრდა ტრენერებმა დამოუკიდებლად ჩაატარეს 60 ტრენინგი.
ცენტრების წევრები კურსის დასრულების შემდეგაც აგრძელებენ ურთიერთობას და მეგობრობას.

ცენტრების მუშაობამ მასწავლებლების, მშობლების, სკოლის ადმინისტრაციების, მუნიციპალური ახალგაზრდული განყოფილებების და განათლების რესურსცენტრების მოწონება დაიმსახურა.

ლუკა ზუგდიდის ახალგაზრდული ცენტრის ერთ-ერთი ლიდერია, აქტიურად მონაწილეობს ტრენინგებში, ატარებს ღონისძიებებს. ლუკას დედა აფხაზია და ბიჭი ხშირად ჩადის აფხაზეთში. მას ჰყავს მეგობრები ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებში, თანატოლებს უყვება ახალგაზრდულ ცენტრზე, უზიარებს ცოდნას და გამოცდილებას. ლუკა მშვიდობის ელჩია კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული ახალგაზრდებისთვის.

სარეაბილიტაციო ცენტრი

2022 წელს ქალთა ფონდმა „სოხუმმა“ ქუთაისში სარეაბილიტაციო ცენტრი გახსნა. რთულ პირობებში მყოფ ქალს, რომელსაც არ აქვს ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, შეუძლია შვილებთან ერთად მშვიდ გარემოში იცხოვროს 12-15 დღე. გადამისამართება ხდება ქალთა მხარდაჭერის ცენტრებიდან, ასევე - სხვადასხვა უწყებიდან.

სარეაბილიტაციო ცენტრში არის ოთხი საძინებელი, სასადილო ოთახი, სამზარეულო, საბავშვო მოედნები, დასასვენებელი კუთხეები. გათვალისწინებულია სამჯერადი კვება.

2023 წელს ცენტრში რეაბილიტაცია გაიარა 43 ქალმა და 81 ბავშვმა.

ქალებთან კომპლექსური მუშაობა ტარდება. სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და იურისტი ეხმარება მათ, გაარკვიონ, როგორ იცხოვრონ შემდეგ, ამზადებენ საჭირო დოკუმენტებს. მასწავლებელი ბავშვებთან ატარებს შემეცნებით-სახალისო მუშაობას. ყოველივე ეს ეხმარება ქალს, გახდეს აქტიური, ძლიერი და თავდაჯერებული.

> **„აქ შევხვდი ყველაზე თბილ, პროფესიონალ და მზრუნველ ადამიანებს, მივიღე სასარგებლო რჩევები, რისთვისაც მადლობელი ვარ. თქვენნაირი ორგანიზაცია ბევრი უნდა იყოს, რათა ქალებმა მიიღონ საჭირო დახმარება“.**

> **„პირველად ვიგრძენი დიდი დახმარება, იმედი, პატივისცემა. გავეცანი სოციალურ სერვისებს და ჩემს უფლებებს, რომელთათვისაც უნდა ვიბრძოლო და მივაღწიო სამართლიანობას“.**

> **„ჩემი შვილები სხვანაირად მიყურებენ ახლა, მიხვდნენ, რომ მათი დედა სხვა დედებზე უარესი არ არის... ეს თქვენი დამსახურებაა, მადლობა ახალი ცხოვრებისთვის“.**

დღის სარეაბილიტაციო ცენტრები

2018 წელს ქუთაისში, ქალთა ფონდი „სოხუმის“ ოფისში გაიხსნა დღის სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც ძალადობის მსხვერპლს შეუძლია ისარგებლოს ფსიქოლოგის და იურისტის უფასო კონსულტაციით, გაიაროს პროფესიული კურსები, დაწეროს ბიზნეს პროექტი და კონკურსის შედეგად მიიღოს მცირე გრანტი.

სარეაბილიტაციო ცენტრები ამოქმედდა სხვა მუნიციპალიტეტებშიც. 2023 წელს კურსები მიმდინარეობდა ქუთაისში, ბაღდათში, თერჯოლაში, სენაკში.



პოლიმერულ თიხასთან მუშაობის კურსების დამთავრების შემდეგ 22 ქალს უკვე აქვს შემოსავალი ონლაინ გაყიდვებიდან. ერთი ქალი სახლში ემსახურება მანიკურის მსურველებს, ორი კი მკერავის თანაშემწედ მუშაობს.

პროფესიული კურსების შემდეგ ჩატარდა 4 ტრენინგი ბიზნესის დაგეგმვის და მარკეტინგული სტრატეგიის საკითხებზე: ორი - ქუთაისში, ერთი - ბაღდათში, ერთიც - თერჯოლაში. ბენეფიციარები ჩაერთნენ კონკურსში და საუკეთესო ბიზნეს იდეების ავტორებმა მცირე გრანტები მიიღეს. კონკურსის პირველ ეტაპზე, იანვარში 20 ადამიანი მონაწილეობდა: 12 ქუთაისიდან და 8 ბაღდათიდან. დაფინანსდა 10 ქალი: 8 ქუთაისიდან და 2 ბაღდათიდან (3 პროექტი დააფინანსა ბაღდათის მერიამ - ქალებისთვის გამოყო 1500 ლარი, რომელიც განაწილდა სამი ქალისთვის და შეძენილ იქნა სამუშაო მასალები და ინვენტარი). მათ შეძლეს მცირე ბიზნესის წამოწყება.

ბაღდათის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის პროფესიული კურსები შეიქმნა. ერთ-ერთი მასწავლებელი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია. განქორწინების შემდეგ ის მამის სახლში ცხოვრობდა, მაგრამ არასრულწლოვან ქალიშვილთან ერთად ძმისგან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა. ფონდი „სოხუმის“ მობილიზატორის, ფსიქოლოგის და იურისტის კოორდინირებული მუშაობის შედეგად ადგილობრივმა ხელისუფლებამ მას ბინის დაქირავების საშუალება მისცა და სილამაზის სალონშიც დაასაქმა. შემდეგ მიიწვიეს პროფესიულ კურსებზე და ფინანსურად კიდევ უფრო დამოუკიდებელი გახდა. ჩვენი დახმარებით ის დაუკავშირდა ორგანიზაციას, რომელიც ახალი პროფესიის შესწავლაში დაეხმარა და მუშაობისთვის საჭირო მასალაც შეუძინა. ასე შეიცვალა ერთი ქალის ცხოვრება.

ფორუმ-თეატრი

ახალგაზრდული ფორუმ-თეატრი დაარსდა 2009 წელს. შემდეგ ახალგაზრდა მსახიობებმა ისწავლეს ჩრდილების თეატრის ხელოვნება, 2021 წელს კი თოჯინების თეატრიც შეიქმნა.

ფორუმ-თეატრი ხელი უწყობს ძალადობის პრევენციას, კონფლიქტების მართვას, არაძალადობრივი კომუნიკაციის დანერგვას საზოგადოებაში. ფორუმ-თეატრს ჰყავს რეჟისორი და 6 მსახიობი. რეპერტუარში შედის 13 სცენა სხვადასხვა თემაზე: ძალადობა ოჯახში/საზოგადოებაში, მიგრაცია, დედა-შვილის ურთიერთობა, ბულინგი, კონფლიქტი შეყვარებულებს შორის.

განსაკუთრებული იყო ფორუმ-თეატრის გამოსვლა ხობის კულტურის სახლში სამეგრელო-ზემო სვანეთის 8 მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების და საქართველოს პარლამენტის დეპუტატების წინაშე ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანიის დროს. ფორუმ-თეატრის სპეციფიკამ შეხვედრის მონაწილეთა დაინტერესება გამოიწვია.

24 სპექტაკლი

ჩრდილების თეატრი -1

თოჯინების თეატრი - 8

ფორუმ-თეატრი - 15

მაყურებლის რაოდენობა - 900

შეიცვალნენ მონაწილეები - მათი მეტყველება, ქცევა, ურთიერთობები. რაც მთავარია, ისინი ცვლიან საზოგადოების დამოკიდებულებას პრობლემების მიმართ.

მონიტორინგი და ადვოკატირება

ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ადვოკატირება ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის საკვანძო საქმიანობას წარმოადგენს (თბილისის წარმომადგენლობა 2019 წელს შეიქმნა). ადვოკატირება მიმართულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი და სოციალური დაცვის მექანიზმების გაძლიერებისკენ და მოწყვლადი და ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის ისეთი სერვისების დანერგვისკენ, რაც მათ საჭიროებებს პასუხობს.

ეროვნულ დონეზე განხორციელებული ადვოკატირება ეყრდნობა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას, რომელიც თბილისის ოფისში აკუმულირდება ქალთა ფონდი „სოხუმის“ მონიტორინგის ჯგუფის მიერ 10 სამიზნე მუნიციპალიტეტში ყველა ინტერესთა ჯგუფის გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის და მიგნებების ანალიზის; ადგილებზე განხორციელებული საქმიანობის შესახებ მიღებული გამოცდილების გაზიარების; ეროვნულ დონეზე მოქმედი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან, საკითხის ექსპერტებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან მუდმივი კომუნიკაციის გზით.

ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე

წარმატებით მიმდინარეობდა ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე. ამ კუთხით ჩატარდა:

- 1 ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის
- 12 მრგვალი მაგიდა ხელისუფლების სტრუქტურების და ადგილობრივი რეფერალური სუბიექტების მონაწილეობით - 246 მონაწილე
- 3 რეგიონული შეხვედრა იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის სამხარეო ადმინისტრაციებთან - 146 მონაწილე 25 მუნიციპალიტეტიდან
- 20-ზე მეტი შეხვედრა - კონსულტაციები ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებთან გენდერული პოლიტიკის განხორციელებისთვის, თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და უწყებათაშორის კომისიებთან
- შეიქმნა პლატფორმა ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლისთვის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის და გაუმჯობესდა თანამშრომლობა

მონიტორინგი და ანალიტიკური ანგარიშები

2023 წელს თბილისის ოფისმა შეიმუშავა კვლევის მეთოდოლოგია ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სხვადასხვა კრიტიკული საკითხის მონიტორინგისთვის და შეგროვილი მონაცემების სისტემატიზაციის და ანალიზის გზით, გამოიცა ორი ანალიტიკური ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე:

„მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის შეფასება“ - https://fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/informatia-zaladobis-tsinaagmdeg/item/13796-2023-07-13-20-36-14

„ქალთა მიმართ ძალადობის რისკების კვლევა“ - https://fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/informatia-zaladobis-tsinaagmdeg/item/14415-2024-01-10-07-07-27



ფრაგმენტი ანალიტიკური ანგარიშიდან

ანგარიშები გაზიარდა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ადგილობრივი ხელისუფლების, შესაბამისი სამინისტროების, საერთაშორისო ორგანიზაციების და საქართველოში აკრედიტებული საელჩოების, სამოქალაქო სექტორის და სფეროს ექსპერტთა წრეში. ყოველი ანგარიშის ადრესატთა რიცხვი 500-მდეა.

მიზნობრივი ადვოკატირების წერილები

კვლევის შედეგად, კონკრეტული სახელმწიფო უწყების საქმიანობაში გამოკვეთილი ხარვეზების საილუსტრაციოდ და გადაწყვეტის მიზნით მომზადდა 15-მდე მიზნობრივი საადვოკაციო წერილი და სარეკომენდაციო პაკეტი. ძირითადი ადრესატები: პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო, მთავრობის ადმინისტრაციასთან არსებული გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისია, ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, სამინისტროები, სოციალური მომსახურების სააგენტო და ა.შ. მიზნობრივი ადვოკატირების წერილების ადრესატთა შორის საშუალოდ 100-მდე საჯარო მოხელეა.

ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის პლატფორმის შექმნა

ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის გაძლიერების მიზნით, თბილისის ოფისმა ორგანიზება და ფასილიტირება გაუწია ორ შეხვედრას:

ონლაინ კონფერენცია - „მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის შეფასება“ (108 მონაწილე);

კონფერენცია ჰიბრიდულ რეჟიმში „მუნიციპალიტეტსა და სახელმწიფო უწყებებს შორის პარტნიორობა ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასთან ეფექტიანი ბრძოლისთვის“ (96 მონაწილე, მათ შორის 77 - დარბაზში, 19 – Zoom პლატფორმით).

პლატფორმის მნიშვნელობას ადასტურებს ხელისუფლების მაღალი დონის გადაწყვეტილების მიმღებთა აქტიური ჩართულობა და უკუკავშირი:

> „მსგავსი ტიპის შეხვედრები, განსაკუთრებით 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლება არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა ტიპის გამოწვევებია ადგილობრივ დონეზე გენდერულ საკითხებზე მუშაობისას და პირიქით. სწორედ ამიტომ, ძალიან დასაფასებელია თქვენი ორგანიზაციის ძალისხმევა და მადლობა ამ ხიდის გადებისთვის,“ - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა ადმინისტრაციის უფროსი.

> „დღეს ძალიან დიდი მნიშვნელობისაა კოორდინირებული თანამშრომლობა ყველა უწყებას შორის სხვადასხვა დონეზე. თანამშრომლობა ყველა რელევანტურ უწყებასთან, ინფორმაციის გაცვლის და ურთიერთდახმარების კუთხით - ამ პრაქტიკის დანერგვაში დიდი წვლილი მიუძღვის ქალთა ფონდ „სოხუმს,“ - შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი.

შეხვედრები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე და წვლილის შეტანა პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავებაში

თბილისის ოფისის წარმომადგენლებმა 2023 წელს მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო სტრუქტურების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ 100-ზე მეტ თემატურ შეხვედრაში.

მომხსენებლების სახით აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფის; გენდერული თა-

ნასწორობის უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო ჯგუფების; ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების (GID) და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM); შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შექმნილი „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოების“ საკონსულტაციო პლატფორმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში.

თბილისის ოფისის წარმომადგენლები გზით, ჩართულნი იყვნენ შემდეგი პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების პროცესში:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2023–2030 წლებისთვის).

მედია და სოციალური კამპანიები

განხორციელდა სოციალური კამპანიები საჭირბოროტო საკითხებზე.

- 25 ნიუსი, 5 სტატია და 4 ვიდეორგოლი განთავსდა ონლაინ საინფორმაციო სააგენტოებში Info Imereti და Act2 - ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ნახვების რაოდენობა - 10 000.
- 2 ტელეგადაცემა გაიმართა რეგიონულ ტელეკომპანია „რიონში“ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენციის და უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერების თემაზე.
- 4 სოციალური ვიდეოკლიპი დამზადდა და გავრცელდა სოციალური ქსელების სხვადასხვა პლატფორმაზე - ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე, არსებულ მხარდაჭერასა და ქალთა გაძლიერებაზე.
- 3 გადაცემაში (საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ევრონიუსი საქართველო“, სტუდია-რე) მონაწილეობა
- სოციალური კამპანიები ფეისბუქზე:

  „დაარღვიე დუმილი, აღკვეთე ძალადობა“ - 13 ციფრულ ბანერზე გავრცელდა სამოქალაქო აქტივისტების, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გზავნილები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობაზე და მისი აღკვეთის კონკრეტულ სტრატეგიებზე (ნახვების რაოდენობა თითოეულ ბანერზე - 600-დან 2121-მდე);

  „ჩემი არჩევანი ევროკავშირია“ - გავრცელდა ევროპის ქვეყნებში მცხოვრები სტუდენტების, ემიგრანტების 7 პერსონალური ისტორია, შესაბამისი გზავნილით, თუ რატომ არის ევროპა მათი არჩევანი (ნახვების რაოდენობა თითოეულზე - 1776-დან 3345-მდე);

  „არა რუსულ კანონს“ - 30 ციფრულ ბანერზე გავრცელდა გზავნილები „უცხოური ქვეყნის აგენტის“ მავნებლობასა და საფრთხეებზე (ნახვების რაოდენობა თითოეულ ბანერზე - 1002-დან 4607-მდე);

  დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა საჭიროებები - ფოტო-ესეს გზით გავრცელდა დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების 17 ყველაზე მწვავე პრობლემა (ნახვების რაოდენობა თითოეულზე - 500-დან 1350-მდე).

პროექტი „ძალადობის მსხვერპლთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი“

დასავლეთ საქართველოს 10 სამიზნე მუნიციპალიტეტში (ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, სამტრედია, ბაღდათი, ვანი, ჩოხატაური, ქობულეთი, წყალტუბო, თერჯოლა) შეიქმნა ქალთა ურთიერთდახმარების ჯგუფები. თითოეულ ჯგუფში 10 ქალია. პროექტი განხორციელდა გენდერული თანასწორობის ფონდის მხარდაჭერით (კანადა).

2023 წელს 80 შეხვედრა გაიმართა. თითქმის ყველა შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი სტრუქტურების (მათ შორის, ბავშვთა განყოფილების, გენდერული თანასწორობის საბჭოს) წარმომადგენლები. ისინი შეკრებილებს აცნობენ ქალთა და ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამებს, რაც ეხმარება მათ პრობლემების გადაჭრაში.

ჯგუფები გადიან ციფრული წიგნიერების კურსებს. კურსები დასრულდა თერჯოლაში, ქობულეთში, ჩოხატაურში და დაიწყო წყალტუბოში, სენაკსა და ვანში. შედეგად, ქალებმა შეიძინეს მნიშვნელოვანი უნარები (გუგლის ფორმებთან და Zoom პლატფორმასთან მუშაობა, ონლაინ კითხვარების შევსება, საჭირო ვებგვერდების გამოყენება). ყოველივე ეს აძლიერებს ჯგუფის წევრებს და თვითშეფასებას უმაღლებს მათ.

მიმდინარეობდა მუშაობა 10 მუნიციპალიტეტის რეფერალური მექანიზმების სუბიექტებთან. გაიმართა:

- ✓ **ორი ტრენინგი 30 მასწავლებლისთვის**
- ✓ **ორი ტრენინგი 30 სამედიცინო პერსონალისთვის**

ტრენინგის მონაწილეებმა გააცნობიერეს თავიანთი როლი ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვაში.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შექმნიან კონფლიქტურ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების მონაცემთა ბაზას და შეისწავლიან მათ საშინაო გარემოს. ექიმებმა გააცნობიერეს თავიანთი პასუხისმგებლობა და მაქსიმალურად დაეხმარებიან დაზარალებულებს.

შვიდ ქალს გადაეცა საჭირო ტანსაცმელი და კვების პროდუქტები. ძალადობის 13 მსხვერპლს - მობილური ტელეფონები SOS აპლიკაციით, რათა საჭიროების შემთხვევაში სიგნალი გაუგზავნონ პოლიციას ან სანდო კონტაქტს. ტელეფონებში ასევე ჩატვირთულია ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდი „ძალადობის მსხვერპლთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი“.

ჩვენ დავამყარეთ თანამშრომლობა ვანის, ბაღდათის, სენაკის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებთან ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალა-

დობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის გააქტიურების და მხარდაჭერის კუთხით. კომისიის წევრების მონაწილეობით ვანსა და სენაკში გაიმართა ორი ვორკშოპი, გაიმართა დეტალური განხილვა კომისიის დებულების, მისი მუშაობის არსის და წევრების ფუნქციების შესახებ. ვორკშოპების სერია მომდევნო წლიდან გაგრძელდება.

2021 წელს შეიქმნა ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდი „ძალადობის მსხვერპლთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი“ - https://sosfsokhumi.ge/. ეს არის ერთადერთი ელექტრონული საინფორმაციო პლატფორმა საქართველოში, სადაც ერთ სივრცეშია გაერთიანებული ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და მხარდაჭერის/დაცვის და იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც აწვდიან ქალებს ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე სამთავრობო უწყებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.



2023 წელს ვებგვერდზე ამოქმედდა ოჯახში ძალადობის/ქალთა მიმართ ძალადობის რისკის ინდიკატორების რუკა, რაც გულისხმობს საპილოტე მუნიციპალიტეტებში (ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, წყალტუბო, ხონი, ქუთაისი, ბაღდათი, ჩოხატაური, სამტრედია, ქობულეთი) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების და უსაფრთხოების ხარისხის შეფასებას, არსებულ საფრთხეებზე დროულ რეაგირებას და შესაბამის ადვოკატირებას.

სენაკში ქალთა ურთიერთდახმარების ჯგუფის რამდენიმე წევრმა ბინის დალაგებებზე მუშაობა გადაწყვიტა. მალე გაუჩნდათ კმაყოფილი კლიენტები. ციფრული წიგნიერების კურსების მასწავლებელი დაეხმარა მათ და ასე შეიქმნა ფეისბუქგვერდი „კვანწილი გოგოები“ („კვანწილი“ მეგრული სიტყვაა და კოხტას ნიშნავს). ქალებმა ისწავლეს გვერდის მართვა, დაბეჭდეს განცხადებები ლამაზი დიზაინით, საკუთარი ლოგოთი და გაავრცელეს ქალაქში. საჭირო მასალების და ხელსაწყოების შეძენაში მათ სენაკის მერია დაეხმარა. „ფონდმა „სოხუმმა“ შეგვკრიბა ურთიერთდახმარების ჯგუფში და ეს წარმატება მისი დამსახურებაა,“ - აღნიშნავენ კვანწილი ქალები.

თერჯოლელმა თ.დ.-მ ქალთა ფონდი „სოხუმის“ კურსებზე ფრჩხილების მოვლის პროფესია უფასოდ შეისწავლა ერთ-ერთი მეწარმის ხელშეწყობით. ქალთა ურთიერთდახმარების ჯგუფში მოსვლის შემდეგ ერთ-ერთ შეხვედრაზე მან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს გაუზიარა თავისი პრობლემები. შედეგად - მერიამ 600 ლარი გამოუყო სამუშაო მასალების შესაძენად, რათა საკუთარი ბიზნესი დაეწყო და შემოსავალი მიეღო.

ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბის და აქტუალობის შესაფასებლად დაგეგმილია რაოდენობრივი კვლევის ჩატარება წელიწადში ორჯერ. პირველი კვლევა უკვე ჩატარდა და ყველა მონაცემი მუნიციპალიტეტების შესახებ ნაჩვენებია ვებგვერდის რუკაზე. შემუშავდა პირველი კვლევის ანგარიშის ელექტრონული ვერსია ძირითადი მიგნებებით და რეკომენდაციებით და გადაეცა შესაბამის სტრუქტურებსა და დაინტერესებულ მხარეებს. მეორე კვლევა და მონაცემთა შეგროვება მომავალი წლის იანვრიდან დაიწყება.

ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია მუდმივად ახლდება. წლის განმავლობაში გამოქვეყნდა 162 მასალა (ახალი ამბები, კვლევა, პუბლიკაცია და ა.შ.), 6 სიუჟეტი ძალადობის ქრონიკებში, ძალადობის მსხვერპლთა 10 წარმატების ისტორია და სამი ვიდეორგოლი. ვიზიტორთა რაოდენობამ 8694 ადამიანი შეადგინა.

პროექტი „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოგვარებისთვის“

პროექტი ხორციელდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით და პარტნიორობით ორგანიზაციასთან - ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“. პროექტს აქვს ოთხი მიმართულება: ქალებთან მუშაობა, ახალგაზრდებთან მუშაობა, სამედიცინო და ეკონომიკური კომპონენტები.

პირველ ორ მიმართულებას ქალთა ფონდი „სოხუმი“ ახორციელებს აფხაზ და ოს ქალებთან ერთად. 2023 წელს ჩამოყალიბდა:

- 13 ქალთა საინიციატივო ჯგუფი: 8 ჯგუფი დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა), 5 - ოკუპირებულ ტერიტორიებზე: 4 აფხაზეთში (გაგრა, სოხუმი, გალი, გულრიფში) და ერთი ცხინვალში - პროექტში სულ ჩაერთო 195 ლიდერი ქალი.
- 13 ახალგაზრდული კლუბი (7 დასავლეთ საქართველოში, 4 - ოკუპირებულ აფხაზეთში და 2 - ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში) - სულ 216 ახალგაზრდა აქტივისტი (შესაბამისად - 164, 34 და 18).

პროექტში მნიშვნელოვანია საინიციატივო ჯგუფების გაძლიერება. სხვადასხვა თემაზე (ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, ადვოკატირება, ლიდერობა, ადვოკატირების გეგმები, ტოლერანტობა, სტერეოტიპები, პროექტების წერა და პროექტების მართვა და ა.შ.) გაიმართა:

- **15 ტრენინგი ახალგაზრდებთან**
- **11 ტრენინგი ქალთა ჯგუფებთან ერთად**
- **4 ტრენინგი სამივე მხარის წარმომადგენელი ახალგაზრდებისა და ქალებისთვის**
- **შეიქმნა უსაფრთხო სივრცე ქალთა და ახალგაზრდული ჯგუფების დიალოგისა და გაცვლითი შეხვედრებისთვის ერთობლივი შეხვედრები იძლევა ჯგუფებს შორის ურთიერთობის, კავშირის დამყარების, პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარების და ადვოკატირების შესაძლებლობას.**
- **ჩატარდა 12 ერთობლივი შეხვედრა - სულ 98 ქალი იყო ჩართული როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ ფორმატით**
- **სტამბოლში გაიმართა ქალთა ერთობლივი შეხვედრა ადვოკატირების გეგმების შემუშავების თემაზე**

ადრეული გაფრთხილების გენდერზე ორიენტირებული სისტემის (GREWS) მეშვეობით შესწავლილ იქნა ქალთა საჭიროებები. მონაცემების შეგროვებაში სამივე მხარის საინიციატივო ჯგუფიდან 90 ქალი და ახალგაზრდა მონაწილეობდა. მომზადდა ყველა მუნიციპალიტეტის/რაიონის 11 ანგარიში და 3 კონსოლიდირებული ანგარიში ადამიანური უსაფრთხოების და პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის საკითხებზე.

„მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასება - ეს არის ექვს მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი) ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის სისტემატიზებულ მონაცემთა ანგარიში.
https://www.fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/mshvidoba/item/13591-6



„ეს ონლაინ შეხვედრა ჩემთვის უჩვეულო იყო. აფხაზებს მტერს ვეძახდი. აფხაზ თანატოლებთან შეხვედრაზეც აგრესიულ ადამიანებს ველოდი. მაგრამ ისინი იღიმოდნენ და სიყვარულით გვიყურებდნენ. ამ დღემ შეცვალა ჩემი ცხოვრება. ეს პროექტი რომ არა, ჩემს შექმნილ სამყაროში დავრჩებოდი და აფხაზები ჩემს მტრებად დარჩებოდნენ. უკვე არ ვიყენებ ამ სიტყვას. ჩვენ გვაქვს ონლაინ ურთიერთობა და ვმეგობრობთ," - ანასტასია, ახალგაზრდული ჯგუფის წევრი, აფხაზეთიდან დევნილი.

საჭიროებების კვლევამ წარმოაჩინა პრობლემები და საჭიროებები, რომლებიც აისახა ადვოკატირების გეგმაში და შემდგომში 12 პრობლემა მოგვარდა ქალთა საინიციატივო ჯგუფების აქტიური ადვოკატირებით.
დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდულმა და ქალთა ჯგუფებმა შეიმუშავეს სამშვიდობო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და განახორციელეს 30-ზე მეტი აქტივობა.

ახალგაზრდული კლუბების გასაძლიერებლად ჩატარდა საგრანტო კონკურსი და განხორციელდა 13 პროექტი: 4 - აფხაზეთში, 2 - ცხინვალში და 7 - დასავლეთ საქართველოში. ქვეგრანტების დახმარებით გაიმართა 129 ღონისძიება (32 – აფხაზეთში, 4 – ცხინვალში, 93 – დასავლეთ საქართველოში) 1806 ადამიანის მონაწილეობით (შესაბამისად: 421, 56, 1329).

სამი მხარის წარმომადგენლებისგან შეიქმნა ახალგაზრდული საბჭო, რომელიც აქტიურად იკრიბება ყოველ მეორე თვეს. ახალგაზრდები ერთმანეთს უზიარებენ სამუშაო პრაქტიკას, გეგმავენ ერთობლივ ინიციატივებს ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. წლის განმავლობაში გაიმართა ახალგაზრდული საბჭოს 6 შეხვედრა (სულ 41 მონაწილე სამივე მხრიდან).

ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“ ახორციელებს სამედიცინო და ეკონომიკურ კომპონენტებს.

სამედიცინო კომპონენტში მოქმედებს აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ჩამოსული პაციენტების მომსახურების კოორდინაციის აქტიური სისტემა (ტრანსპორტირება, ლოჯისტიკა, ადვოკატირება და დახმარება სახელმწიფო რეფერალური პროგრამის გამოყენებაში).

კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 154-მა ადამიანმა: 144 - ოკუპირებული აფხაზეთიდან და 10 - ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან.

სამედიცინო მუშაკებისა და საზოგადოების წევრებისთვის ჩატარდა ორი ონლაინ ტრენინგი. ქართველმა კოლეგებმა ტრენინგის მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, პაციენტებთან მუშაობის ახალი ტექნიკები.

ეკონომიკური კომპონენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა მიმართულებებთან. მოქმედებს ეკონომიკური ფორუმი - თანამშრომლობის სივრცე დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას. გაიმართა ეკონომიკური ფორუმის 13 შეხვედრა 65 ადამიანის მონაწილეობით (5 წარმომადგენელი ცხინვალიდან, 36 - აფხაზეთიდან, 24 - დასავლეთ საქართველოდან).

ეკონომიკური ფორუმის წევრებისთვის ყოველწლიურად ცხადდება კონკურსი და ხდება ორმხრივი თანამშრომლობისკენ მიმართული ბიზნეს პროექტების მხარდაჭერა.

2023 წელს დაფინანსდა 13 ბიზნეს პროექტი. ბიზნეს ფორუმის წარმომადგენლები ერთმანეთს უზიარებენ ცოდნას და გამოცდილებას. ეკონომიკური ტური გაიმართა საქართველოში, სადაც ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ აფხაზები.

პროექტი „ქალთა ხმების გაძლიერება“

პროექტი განხორციელდა ქალთა უფლებების დაცვის სწრაფი რეაგირების ფონდის მხარდაჭერით. ჩატარდა საინფორმაციო მუშაობა საზოგადოებაში სამოქალაქო ორგანიზაციების, კერძოდ კი ქალთა ფონდი „სოხუმის“ მნიშვნელოვანი როლის შესახებ.

გავრცელდა ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ფურცლები
გაიმართა 20 საინფორმაციო შეხვედრა 500-ზე მეტ ადამიანთან

საინფორმაციო კამპანიის შედეგად:

- **ოთხმა უფლებადამცველმა ქალმა საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარა ადგილობრივი თვითმმართველობის 105 წარმომადგენელთან**
- **შეხვედრების მონაწილე 35-მა ჟურნალისტმა მოამზადა 12 ისტორია ძალადობაგამოვლილ ქალებზე და იმ ქალებზე, რომელთაც ქალთა ფონდი „სოხუმის“ სერვისებით ისარგებლეს**
- **მომზადდა 6 სატელევიზიო და რადიოგადაცემა**
- **ქალთა ფონდის 8 აქტივისტმა ჩაატარა 15 შეხვედრა 10 მუნიციპალიტეტში**
- **მოეწყო ფონდი „სოხუმის“ დღის სარეაბილიტაციო ცენტრის კურსდამთავრებულ, ძალადობის მსხვერპლ ქალთა ნამუშევრების გამოფენა**
- **მომზადდა 6 ვიდეობლოგი YouTube არხზე**

საინფორმაციო კამპანიამ წარმოაჩინა ჩვენი ორგანიზაციის როლი დემოკრატიული და თანასწორი საზოგადოების შენებაში. ამან განაპირობა ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან ჩვენთან თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტი ინტერესი.

პროექტი „კონფლიქტების ტრანსფორმაციის მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში“

მუშაობა მიმდინარეობს საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთთან“ პარტნიორობით. პროექტის მიზანია ქალების გაძლიერება დევნილთა თემის სახლის მესაკუთრეთა გაერთიანებებში. სამიზნე მუნიციპალიტეტებია: ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, სენაკი, ზუგდიდი.

2023 წელს მუშაობა მიმდინარეობდა მხოლოდ სამი თვე. ამ დროის განმავლობაში დევნილთა თემებში მოხდა ქალთა ჯგუფების მობილიზება.

ქუთაისში შეირჩა შერვაშიძის, ლესელიძის, სოხუმის, ნიკეას, ჭავჭავაძის, ზაქარიაძის და დავით აღმაშენებლის ქუჩებზე მცხოვრებ დევნილთა თემები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში - აფხაზეთის ქუჩაზე და ასევე სოფლებში (გვიშტიბი, კოპიტნარი, ვარციხე) მცხოვრები დევნილები.

ხონში - აფხაზეთის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ქალაქი) მცხოვრები დევნილები

სენაკში - ყოფილ სამხედრო ქალაქში, ასევე ურიდიას, სამტრედიის, სანაიას და წმინდა ნინოს ქუჩებზე მცხოვრები დევნილები

ზუგდიდში - დევნილები ლაღიძის და ბარამიას ქუჩებიდან

თითოეულ ჯგუფში 15 ადამიანია - სულ 75 დევნილი ქალი და გოგონა.

დეკემბერში ყველა ჯგუფისთვის ჩატარდა ტრენინგები თემაზე „ლიდერობა, პრეზენტაცია, საჯარო გამოსვლა“.

მომავალ წელს აქტიურად გაგრძელდება ჯგუფებთან მუშაობა დევნილთა პრობლემების იდენტიფიცირების და ადვოკატირების მიზნით.

> **საინტერესო სავარჯიშოების მეშვეობით კარგად დავინახეთ, რამდენად ვართ მზად ლიდერობისთვის, რა თვისებები სჭირდება კარგ ლიდერს, როგორ უნდა ჩავერთოთ თემის პრობლემების მოგვარების პროცესში და მივაღწიოთ თემში პოზიტიურ ცვლილებებს - ტრენინგის ერთ-ერთი მონაწილე.**

პროექტი „ქალები და ახალგაზრდები - ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება ადგილობრივ დონეზე"

პროექტმა 17 მუნიციპალიტეტი მოიცვა. ქალთა ფონდი „სოხუმი" მუშაობდა ხუთ მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, სენაკი, ზუგდიდი) კომპაქტურად მცხოვრებ დევნილ ქალებთან და ახალგაზრდებთან. პროექტი განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით.

პროექტის მიზანი: რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების პოტენციალის მხარდაჭერა გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის პროცესში და დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების სრული, თანაბარი, პირდაპირი და მნიშვნელოვანი მონაწილეობის გაზრდა.

ჩამოყალიბდა დევნილთა ხუთი 15-კაციანი სამუშაო (საინიციატივო) ჯგუფი - სულ გაერთიანდა 75 ქალი. სამუშაო ჯგუფებმა შეისწავლეს დევნილთა თემის საჭიროებები და დაიწყეს გამოვლენილი პრობლემების ადვოკატირება ადგილობრივ, ცენტრალურ და საერთაშორისო დონეზე.

50-მა ქალმა - 10-მა თითოეული მუნიციპალიტეტიდან - გაიარა ანკეტირების მეთოდით გამოკითხვის ჩატარების სრული კურსი და 11 სემინარი შემდეგ თემებზე: „ლიდერობა, პრეზენტაცია და საჯარო გამოსვლები", „მშვიდობის მშენებლობა და ნდობის აღდგენა", „მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირება", „ადგილობრივი ბიუჯეტირების ანალიზი", „ადგილობრივი ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება", „კოალიცია და უსაფრთხოება", „რეზოლუცია 1325, სამოქმედო გეგმა და მისი ლოკალიზება", „ერთი ფანჯრის პრინციპი".

საჭიროებების გამოსავლენად ჩატარდა გამოკითხვა. 5 მუნიციპალიტეტში ადვოკატირებისთვის შეირჩა 23 პრობლემა, მათგან 17 მოგვარდა, 6 კი მოგვარების პროცესშია.

ხონის მუნიციპალიტეტი

- მოგვარდა საცხოვრებელი კორპუსების ღარების და სახურავების საკითხი, 8 კორპუსის ფასადის მოწესრიგება შეტანილია 2024 წლის გეგმაში
- დასახლებაში დამატებით დაიდგა სანაგვე ურნები
- აშენდა რეკრეაციული ზონა და მოეწყო ატრაქციონები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

- სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებისთვის დაწესდა მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის 50%-იანი შეღავათები
- სოფელ ინგირში საბავშვო ბაღ „წითელქუდას“ ასაშენებლად გამოიყო ტერიტორია და დამტკიცდა მშენებლობის გეგმა

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

- დევნილთა თემ „კოტეჯებში“ მოგვარდა მისამართის და სახლების დანომვრის საკითხი
- არის თანხმობა 2024 წლის გეგმაში გზის კეთილმოწყობის თაობაზე
- მოწესრიგდა ნიკეას ქუჩაზე შესასვლელი გზა

სენაკის მუნიციპალიტეტი

- ყოფილი სამხედრო ქალაქის თემში ნაწილობრივ მოგვარდა სანიაღვრე სისტემების საკითხი
- ხელახლა გადაიხურა 4 კორპუსი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

- დევნილთა ახალ თემში ქუჩას ეწოდა აფხაზეთის სახელი, დაინომრა კორპუსები და შემოსასვლელთან დაიდგა აბრა
- სარდაფში დამონტაჟდა ტუმბო
- დასაქმდა 10 სოციალურად დაუცველი დევნილი
- დევნილთა თემში დამატებით დაიდგა ნაგვის ურნები
- გადაიხურა ორი კორპუსი
- დაიდგა ძელსკამი
- გაიწმინდა სანიაღვრე არხები
- შენდება თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი

უკრაინიდან ლტოლვილების მხარდაჭერა

უკრაინაში ომის დაწყებიდან - 2022 წლის თებერვლიდან ქუთაისში გამოჩნდნენ ომს გამოქცეული ქალები და ბავშვები. თანდათან ჩვენი არეალი გაიზარდა, რადგან გვიკავშირდებოდნენ ადამიანები დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებიდან.

Brot für die Welt და კანადის თანასწორობის ფონდმა დამატებითი სახსრები გამოგვიყვეს და შესაძლებელი გახადა ამ ადამიანების ძირითადი საჭიროებების მოგვარება რამდენიმე მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, ხარაგაული, ფოთი, წალენჯიხა, ტყიბული, სამტრედია, ქობულეთი, ზუგდიდი, ხობი, სენაკი).
2023 წელს:
- 470-მა ადამიანმა მიიღო საკვები პროდუქტები და ჰიგიენური საშუალებები (227 ქალი, 170 ბავშვი და 71 მამაკაცი)
- 29 ოჯახს (76 ადამიანი) დავეხმარეთ კომუნალური გადასახადების გადახდაში
- 200-დან 500 ლარამდე დახმარება მიიღო 33-მა ოჯახმა (105 ადამიანმა)
- 6 ოჯახს კომუნიკაციის (ტელეფონი, ინტერნეტი) თანხები გადავუხადეთ
- 46 ადამიანს შევუძინეთ ტანსაცმელი
- 4 ოჯახს გადავეცით გამათბობლები
- 50-მდე ადამიანს დახმარება გავუწიეთ სამედიცინო გამოკვლევის, ქიმიოთერაპიის, მედიკამენტების შესყიდვის და ნაწილობრივ - ოპერაციის ხარჯების ანაზღაურებაში.

სექტემბრიდან ფონდი გადავიდა ვაუჩერულ სისტემაზე. საკვების და ჰიგიენური საშუალებების შესაძენად ერთ და ორწევრიან ოჯახებს გადაეცათ სუპერმარკეტ Carrefour-ის ერთი ვაუჩერი (100 ლარი), სამ-ხუთ ადამიანს - ორი, 6-8 ადამიანს - სამი.
ოქტომბერში გაიცა 50 ვაუჩერი, ნოემბერში - 47, დეკემბერში - 57.



„ძალიან დიდი მადლობა! სიტყვები არ მაქვს, რომ გამოვხატო ჩემი გრძნობები. თქვენი დახმარება ფასდაუდებელია!“

„ძალიან ყოჩაღები ხართ. დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის... ღმერთმა დაგლოცოთ ყველა!“

„უღრმესი მადლობა ქალთა ფონდ „სოხუმს“ ყურადღებისა და ზრუნვისთვის!“

ორგანიზაცია მონაწილეობდა საინფორმაციო შეხვედრებში, შეკრებილებს აცნობდა უკრაინელების აქტუალურ პრობლემებს. დავამყარეთ თანამშრომლობა ქუთაისელ მოხალისეებთან. მათი დახმარებით რამდენიმე უკრაინული ოჯახისთვის შეგროვდა ბავშვების ტანსაცმელი, სათამაშოები, საბავშვო ეტლები.

ლტოლვილების საჭიროებების გასარკვევად ჩატარებულ ონლაინ გამოკითხვაში (65 რესპონდენტი) პრიორიტეტულ საჭიროებებს შორის იყო: საკვები, საცხოვრებელი ხარჯები, კომუნალური მომსახურება და სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტები, ჰიგიენური საშუალებები, ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები, ენის კურსები და ა.შ. ჩვენ ვითვალისწინებდით მათ საჭიროებებს.

წლის განმავლობაში უკრაინელებისთვის ტარდებოდა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. მათთან მუშაობდა ქალთა ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგი და რამდენიმე თვე - ასევე ორი ფსიქოლოგი უკრაინიდან, რომლებიც შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ. ჯგუფური და ინდივიდუალური თერაპიების შედეგად უკრაინელებმა შეძლეს ადაპტირება ახალ გარემოსთან, იპოვეს ძალა ახალი ცხოვრების დასაწყებად.

ქალთა ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდზე www.fsokhumi.ge ყოველთვიურად იბეჭდებოდა ბლოგი „ქალები უკრაინიდან“ - ქალთა ისტორიები, მათი განცდები, ოცნებები და იმედები. ბლოგი საკმაოდ პოპულარული იყო მკითხველებში.



იანვარში რუსეთის არმიამ სარაკეტო იერიში მიიტანა ქალაქ დნიპროზე. დაიღუპა და დაშავდა მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე. დნიპრო ქუთაისის დაძმობილებული ქალაქია და მოეწყო კამპანია „ქუთაისი დნიპროსთვის“. ქალთა ფონდმა „სოხუმმა“ კამპანიაში ფინანსური წვლილიც შეიტანა და ინფორმაციის გავრცელებასაც შეუწყო ხელი. შეგროვდა 30 000 ლარი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის მხარდაჭერით, წლის ბოლოს განხორციელდა ერთთვიანი პროექტი „არტ-თერაპიული შეხვედრები უკრაინელ ბავშვებთან“.

გაიმართა 5 შეხვედრა ფსიქოლოგთან. 7-12 წლის 10 ბავშვი ერთმანეთს დაუმეგობრდა და 5 საინტერესო დღე გაატარა ქალთა ფონდ „სოხუმში“. შედეგები თვალსაჩინო იყო: დაძაბულობის განმუხტვა, ურთიერთნდობა, სიმშვიდე.

ფსიქოლოგი: „კირილი შემოვიდა ოთახში და ამდენი უცხო რომ ადამიანი დაინახა, მაგიდის ქვეშ შეძვრა. გაცნობა ასე დაიწყო: ერთმანეთს ჩაჰკიდეს ხელი და ხელის მოჭერით თბილი იმპულსები გაგზავნეს ერთმანეთთან. გაცნობის მეორე ტალღა იყო კითხვა: რას გეძახით დედა სიყვარულით? წამოვიდა სიტყვები: зайка, котик, мишка, золотце, сынуля, кроха... კირილი გამოვიდა და წამოიძახა: „მე დედა „მოლეკულას“ მეძახის“.

კამპანია „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“

ჩვენი ორგანიზაცია 21 წელია, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კამპანიაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“.

„დაარღვიე დუმილი, აღკვეთე ძალადობა!“ - ამ სლოგანით შეუერთდა ქალთა ფონდი „სოხუმი“ საერთაშორისო საინფორმაციო კამპანიას.

კამპანია ერთი დღით ადრე დაიწყო. 24 ნოემბერი. საღამოს 7 საათი ქუთაისი. რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი - შენგელია არენა. ქუთაისის „ტორპედოს“ და თბილისის „დინამოს“ მატჩი. ყველა მოთამაშე გამოვიდა თეთრი მაისურით და კამპანიის სლოგანით: „დაარღვიე დუმილი, აღკვეთე ძალადობა!“ ეს სლოგანი გამოიტანეს დიდი ბანერის სახითაც.

ქუთაისის „ტორპედო“ ორჯერ იყო ჩვენი კამპანიის სახე - 2003 და 2013 წლებში. ორივეჯერ ჩვენ დავბეჭდეთ კალენდრები „ტორპედოს“ მოთამაშეების გამოსახულებით და ძალადობის წინააღმდეგ მოწოდებით. იმ წლებში კალენდრებმა შეასრულეს თავიანთი მისია, რადგან სპორტსმენის, ფეხბურთელის ნათქვამ სიტყვას უზარმაზარი ძალა აქვს...
2023 წელს საფეხბურთო კლუბმა „ტორპედომ“ თვითონ დაბეჭდა კალენდრები კამპანიის სლოგანით. ეს კალენდრები და ჩვენი საინფორმაციო ბუკლეტები გავრცელდა სტადიონზე...

განხორციელდა 126 ღონისძიება, რომელშიც 40 000-ზე მეტი ადამიანი ჩაერთო

- ქალთა მხარდაჭერის ცენტრებმა ჩაატარეს 34 აქტივობა, რომელშიც 541 ადამიანი მონაწილეობდა.
- ახალგაზრდობის გაძლიერების ცენტრებმა - 45 ღონისძიება: მონაწილეობა მიიღო 2000 ახალგაზრდამ.
- ფორუმ-თეატრმა და თოჯინების თეატრმა წარმოდგენები გამართეს ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში, სენაკში, ხობში, ზუგდიდში - დაფიქსირდა 400-ზე მეტი მაყურებელი.
- ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში, სენაკში, ზუგდიდსა და წალენჯიხაში HERA-ს ქალთა ჯანმრთელობის ცენტრთან ერთად ჩატარდა აქციები (ძუძუს კიბოს სკრინინგი, ექიმის კონსულტაცია, მამოგრაფია) - უფასო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 300-მდე ქალმა.
- ქალთა ურთიერთდახმარების ჯგუფებმა გამართეს 11 ღონისძიება.
- წალენჯიხის ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით, საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის ჩატარდა ორი ტრენინგი თემაზე „გენდერი და გენდერული ძალადობა“.

კამპანიის დასასრულს ფონდის თანამშრომლები დაესწრნენ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლ „ლივ შტეინს“. სპექტაკლის შემდეგ გაიმართა შეხვედრა მთავარი როლის შემსრულებელ ენდი ძიძავასთან. მსახიობმა ისაუბრა ფსიქოლოგიურ ძალადობასთან ბრძოლის პირად გამოცდილებაზე.

პროექტი თანამშრომლებისთვის

პროექტი ქსელის „ევროპელი ქალები ძალადობის წინააღმდეგ“ მხარდაჭერით 2022 წლის ნოემბერში დაიწყო თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგით, რომელიც ეხებოდა ომგამოვლილი ადამიანების გამოცდილებას.

პროექტის ფარგლებში 19 დეკემბერს უკრაინელებთან ერთად აღინიშნა ნიკოლოზობის დღესასწაული ქუთაისის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თებერვალში მეორე ტრენინგი გაიმართა თანამშრომლებისთვის - საქართველოს წითელი ჯვრის ოსტატმა-ინსტრუქტორებმა პირველი დახმარების გაწევის თაობაზე თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ჩაატარეს.

თანამშრომლები მონაწილეობდნენ ბათუმში ჩატარებულ სემინარშიც, რომელიც მიეძღვნა პროფესიული/ემოციური გადაწვის პროფილაქტიკას. ფსიქოლოგის მუშაობა დაეხმარა მონაწილეებს საკუთარი რესურსების გააქტიურებაში.

ორგანიზაციული განვითარება

ჩვენი ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომლების კვალიფიკაციის და კომპეტენციების ამაღლებას. ეს საშუალებას იძლევა, გაიზარდოს მათი ცოდნა და გამოცდილება, რაც აისახება ყოველდღიურ მუშაობაზე.

2023 წელს თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები სხვადასხვა ფორმატში ძალადობის, გენდერის, გენდერული თანასწორობის, მონიტორინგის და შეფასების და ადამიანის უფლებების საკითხებზე. მათ მონაწილეობა მიიღეს კონფერენციებში, ვებინარებში, მასტერკლასებსა და სხვადასხვა შეხვედრაში. ორგანიზაციულმა განვითარებამ ხელი შეუწყო თითოეული თანამშრომლის პროფესიული პოტენციალის ზრდას.

ფინანსური ანგარიში - 2023

შემოსავლები

- 43% - EVANGELISCHES WERK FUER DIAK NIE UND ENTWICKLUNG E.V - 704 198 GEL
- 34% - USAID Georgia - 540 283 GEL
- 12% - EQUALITY FUND - 198 373 GEL
- 3% - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში - 51 925 GEL
- 3% - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ - 49 849 GEL
- 1% - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ - 15 634 GEL
- 1% - UNDP - 13 283 GEL
- 1% - Anna Plotkina - 2 363 GEL
- 0.9% - Women Against Violence Europe - 16 186 GEL
- 0.6% - URGENT ACTION FUND FOR FEMINIST ACTIVISM - 10 386 GEL
- 0.3% - წალენჯიხის მუნიციპალიტეტი - 4 195 GEL
- 0.3% - ხობის მუნიციპალიტეტი - 4 995 GEL



ფინანსური ანგარიში

- 71% - პროგრამული ხარჯი: (ტრენინგები, შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, კონსულტაციები, საგამომცემლო ხარჯები; უკრაინელთა დახმარება; სარეაბილიტაციო ცენტრი; კომპიუტერის, პოლიმერული თიხის და ჭრა-კერვის კურსები)
- 14% - გადასახადები
- 10% - შრომის ანაზღაურება
- 2% - სატრანსპორტო ხარჯები
- 1% - კომუნალური ხარჯები
- 1% - კონვერტაციის ხარჯი
- 0.3% - კომუნიკაცია
- 0.3% - აუდიტი



დაარღვიე დუმილი, აღკვეთე ძალადობა!